



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 9 თებერვალი, 2015 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
2. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
6. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
7. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია
8. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
10. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
11. მიხეილ სარალიშვილი - "მერსი ქორფსი" -ის წარმომადგენლობა საქართველოში
12. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
13. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
14. რუსლან შავაძე - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული

## კომიტეტი

15. ლაშა წიკლაური - ასოციაცია „საზოგადოება განვითარებისთვის“
16. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
17. თამაზ ვაშაკიძე – საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

## განსახილველი საკითხები:

- ❖ ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (CSF) მმართველი კომიტეტის ამ/წლის 4–5 თებერვლის სხდომის შესახებ
- ❖ ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (CSF) ახლადშექმნილი სამუშაო ჯგუფების საბჭოების როლისა და მათი შეხვედრების შესახებ
- ❖ საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრების მოწვევა, საორგანიზაციო საკითხები

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. აღნიშნული შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო საერთო კრების ორგანიზების პროცესში სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართვა, ასევე იმ საკითხების, პრიორიტეტების გამოკვეთა, რომელიც განიხილება საერთო კრებაზე.

თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ კრებაზე ჯგუფი წარადგენს ანგარიშს, რომელშიც აისახება სამუშაო წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ განხორციელებული საქმიანობა, ასევე რეკომენდაციები. თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ევროკომისიამ გამოყო ფინანსები, შემდგომ ეტაპზე გამოცხადდება კონკურსი და სამუშაო ჯგუფს ექნება შესაძლებლობა განახორციელოს კოალიციური პროექტი. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ პროცესში აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას და ორგანიზაციებს შორის მოხდება ფუნქციების გადანაწილება.

ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის წარმომადგენელმა, ჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (CSF) მმართველი კომიტეტის შეხვედრის შესახებ, რომელიც გაიმართა 4–5 თებერვალს, ბრიუსელში. შეხვედრის მიმდინარეობისას ძირითადი ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს: ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პროცესი, მათ შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვა, მიმდინარე პოლიტიკური საკითხები და ა.შ. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს ასევე მიაწოდა

ინფორმაცია, რომ შეიქმნა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების, ეროვნული სამუშაო ჯგუფების საკონსულტაციო საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ შეიკრიბება ბრიუსელში. აღნიშნული ინიაციტივით, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი ცდილობს გააძლიეროს ურთიერთობები ჯგუფებთან.

საერთო კრებაზე გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დამსწრეებმა მეორე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორობის კანდიდატებად დაასახელა შემდეგი პიროვნებები:

1. თენგის სვანიძე - ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
2. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია
3. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
4. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
5. თამაზ ვაშაკიძე – საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ დასრულდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია